



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
BOLNISI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 106-1062220724
თარიღი: 26/07/2022

ადრესატი: სს RMG Copper
საიდენტიფიკაციო ნომერი: 225358341
მისამართი: საქართველო, ბოლნისის რაიონი, დაბა
კაზრეთი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მილსადენის მშენებლობა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზის გადაკვეთით და პარალელურად, უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმა-წესის სრული დაცვით.

საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიიდან მილსადენის გადატანა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,


დავით შერაზადიშვილი


ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მ. ხუთუბელი





IT სერვისები
თ. სოსელია



სს „MRG Copper“-ის აღმასრულებელ
დირექტორს ბატონ თორნიკე ლიპარტიას

ბატონო თორნიკე,

თქვენი 2022 წლის 14 მარტის N85.505 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს და მოგახსენებთ, რომ არ ვართ წინააღმდეგი შესრულებს დაგეგმილი სამუშაოები.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემსრულებელს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ზუსტი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 343443; 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.
შემსრულებელი: ლაშა ჭავჭავაძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი აღმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურიძე/



N 44

03/08/2022

ტექნიკური პირობა

ემლევა, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ 2022 წლის 09 თებერვლის №TNO/01-090222-1 წერილით წარმოდგენილ სს „RMG COPPER“-ს 2022 წლის 08 თებერვლის №83.656 განაცხადის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობისას „წითელი ხიდი-წალკა-ახალქალაქის“ DN 300 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის გადაკვეთას ერთ ადგილზე.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (შემდგომში - „სგტკ“) არ არის წინააღმდეგი სს „RMG COPPER“-მა (შემდგომში - „განმცხადებელი“) წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განახორციელოს გაზსადენის გადაკვეთის სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური პირობების გათვალისწინებით:

1. მაგისტრალური გაზსადენი უნდა გადაიკვეთოს შემდეგი კოორდინატების ფარგლებში:
1) X – 449645; Y – 4582319; - დან 2) X – 449652; Y – 4582328; - მდე;
2. მაგისტრალური გაზსადენის გადაკვეთის კუთხე უნდა იყოს არანაკლებ 60°;
3. კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ობიექტის მინიმალური დაშორება მაგისტრალური გაზსადენიდან (პარალელურად გატარების დროსაც) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 (ათი) მეტრს;
4. სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესის და მათი დაცვის ზონების“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის №257 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები;
5. სამუშაოების დაწყებამდე, „განმცხადებელმა“ „სგტკ“-ის წარმომადგენელთან ერთად უნდა განიხილოს პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების პროცედურები და ვადები, შემსრულებელი პერსონალი და გამოყენებული ტექნიკური საშუალებები. შეფასდეს მშენებლობის პროცესში მოსალოდნელი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების ან სხვა რისკები;
6. „განმცხადებელმა“ სამშენებლო სამუშაოების დაწყების ზუსტი დრო აცნობოს „სგტკ“-ს, არაუგვიანეს სამი დღისა, რათა გამოიყოს „სგტკ“-ის წარმომადგენელი, რომელიც ფილიალიდან წარმოდგენილ სპეციალისტთან ერთად ზედამხედველობას გაუწევს გაზსადენის გადაკვეთის სამუშაოებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს. მშენებლობის პროცესში აუცილებელია „სგტკ“-ის წარმომადგენლების წინადადებების გათვალისწინება; საკონტაქტო პირი იქნება „სგტკ“-ის ცენტრალური ფილიალის დირექტორი მამუკა გოგრიჭიანი, ტელ: 591 292 277;

7. მაგისტრალური გაზსადენის მძიმე ტექნიკით გადაკვეთის შემთხვევაში, მაგისტრალურ გაზსადენზე, მექანიკური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ უნდა მოეწყოს სპეციალური გადასასვლელები, 0,5 მ სიმაღლის მიწაყრილები და ზემოდან დალაგდეს 20 სმ სისქის რკინა-ბეტონის ფილები;
8. დაუშვებელია გაზსადენის დერეფანში ნებისმიერი მასალის დასაწყობება ან მისი სადგომად გამოყენება;
9. სამუშაოების დაწყებამდე, გაზსადენის დერეფანში უნდა მოიხსნას ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდეს, რათა სამუშაოს დასრულების შემდგომ მოხდეს მისი აღდგენა;
10. გაზსადენის ღერძიდან ორივე მხარეს, 2 (ორი) გრძივი მეტრის მანძილზე მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ ხელით, დანარჩენი გათხრითი სამუშაოები შესაძლებელია შესრულდეს მექანიზმის გამოყენებით;
11. მაგისტრალური გაზსადენის გადაკვეთა განხორციელდეს ქვევიდან. მილსადენებს შორის მოეწყოს დამცავი ბეტონის ფილების ფენა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით;
12. გადაკვეთის ადგილას გაზსადენის ღერძიდან არანაკლებ 4 (ოთხი) მეტრში უნდა დაიდგას გამაფრთხილებელი ნიშნულები, შესაბამისი წარწერით, რომელიც მიუთითებს მაგისტრალური გაზსადენის გადაკვეთის ადგილმდებარეობას (იხ. ნახაზი);
13. სამუშაოების ჩატარებისას, მოქმედი გაზსადენის დაზიანების შემთხვევაში, „განმცხადებელი“ ვალდებულია აღადგინოს დაზიანებული მონაკვეთი მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და აანაზღაუროს „სგტკ“-სთვის ან ნებისმიერი მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი;
14. შესრულებული სამუშაოების შედეგად მომავალში გამოწვეულ ტექნიკურ ხარვეზებზე, ან/და შესაძლო ტექნიკურ პრობლემებზე, პასუხისმგებელია „განმცხადებელი“ იმგვარად, რომ „განმცხადებელმა“ „სგტკ“-ს ააცილოს ყველანაირი პრეტენზია, ზიანი, ხარჯი და სასამართლო განხილვა, რომელიც შეიძლება ინიცირებულ იქნას მესამე მხარის მხრიდან „სგტკ“-სთან მიმართებაში.
15. მშენებლობის დაწყების წინ, მშენებლობაზე პასუხისმგებელი იურიდიული/ფიზიკური პირის მიერ ხელი მოეწეროს პასუხისმგებლობის გარანტიას და წარმოდგენილ იქნას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“;

წინამდებარე ტექნიკური პირობა ძალაში შევიდეს გაცემის დღიდან 1 (ერთი) წლის ვადით.

წინამდებარე ტექნიკური პირობის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში „სგტკ“-ს უფლება აქვს მოითხოვოს მიმდინარე სამუშაოების შეჩერება და შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.

ვამტკიცებ,

გიორგი შემოზაშვილი

მთავარი ინჟინერი





N გ-1885
23/06/2022

1885-გ-2-202206231217



ს.ს. RMG Copper
თარიღი
№ 91.963
"24" 06 2022
შპს, 2

კომპანია „RMG copper“-ის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ თორნიკე ლიპარტიას

ბატონო თორნიკე,

განვიხილეთ თქვენი 03.06.2022 წლის N 90.642 წერილი. გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული კოორდინატების თანახმად, თქვენს მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, საპროექტო მილსადენი გადაკვეთს (კვეთის კოორდინატები: X-449949.68; Y-4582226.96) კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე არსებულ დიუკერს, რომლის გასხვისების ზოლი შეადგენს 15 მეტრს დიუკერის ღერძიდან ორივე მხარეს. ასევე იკვეთება გ-ნ გამანაწილებელი არხი, რომლის გასხვისების ზოლი შეადგენს 6 მეტრს არხის ბერძიდან ორივე მხარეს.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ არ არის აღნიშნული პროექტის რეალიზაციის წინააღმდეგი, თუ დაცული იქნება შემდეგი ტექნიკური პირობები:

- დიუკერის გადაკვეთის კვანძში, მიწისქვეშა კომუნიკაციის ჩაღრმავება უნდა იყოს არანაკლებ ერთი მეტრისა დიუკერის ძირიდან მიწისქვეშა კომუნიკაციის ზედაპირამდე.
- მიწისქვეშა კომუნიკაციის ჩაღრმავება უნდა მოეწყოს გასხვისების ზოლის გარე პერიმეტრზე, დიუკერის ღერძიდან 15 მეტრის დაშორებით ორივე მხარეს;
- მიწისქვეშა კომუნიკაცია უნდა მოეწყოს ლითონის გარსაცმში ჩაღრმავების მთელ სიგრძეზე;
- სამუშაოები უნდა ჩატარდეს დიუკერის დაუზიანებლად, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში, მილსადენის მშენებლობის დასრულებისთანავე, საპროექტო პარამეტრების დაცვით მოხდეს დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა;
- ჩაღრმავების წერტილებში, ორივე მხარეს უნდა მოეწყოს მანიშნებელი ბოძკინტები;
- კვეთის მთელ პერიმეტრზე მილი მოთავსდეს ლითონის გარსაცმში;

- გადაკვეთის კვანძში, ჩაღრმავება არხის ძირიდან მილის ზედაპირამდე უნდა შეადგენდეს 1 მეტრს;
- მშენებლობა უნდა განხორციელდეს შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლის თანდასწრებით და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რათა მშენებლობის შედეგად გამოირიცხოს სარწყავი სისტემის ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი პირობების წარმოქმნა.

საკონტაქტო პირი: მაშავერას სერვის ცენტრის უფროსის მოადგილე რამაზ ხუციშვილი. ტელეფონი: 595 07 54 03.

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი





შ.პ.ს „პისი მაქსი“
PCMAX LLC

საინდ. კოდი: 206343875

18.03.2022

N 3012

სს „RMG copper“-ის
აღმასრულებელ დირექტორს
თორნიკე ლიპარტიას

ბატონო თორნიკე,

თქვენი 14.03.2022 წლის N 85.506 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მონაცვეთზე განლაგებულია შპს „პისი მაქსი“-ს კუთვნილი ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი გრუნტში და კვეთაზე ჩვენს არსებულ კომუნიკაციას იხ. დანართი #1, შპს „პისი მაქსი“ არ არის წინააღმდეგი სამუშაოების ჩატარებაზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით იხ. დანართი #2.
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით ჩვენს წარმომადგენელს ბესო სიჭიანავას-577 201134

დანართი: #1. ორთო ფოტო, SHP ფაილი
#2. ტექ. შეთანხმება

პატივისცემით,
შპს „პისი მაქსი“-ს
დირექტორი
აკატერინე კახიძე




შეთანხმება

თარიღი 18.03.2022


შპს „პისიმაქსი“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის გადაკვეთა უნდა მოხდეს შემდეგი პირობებით დადგით:

- 1) დაუსახლებელი ტერიტორია-საპროექტო ხაზოვან ნაგებობის პარალელურად გატარების შემთხვევაში, საპროექტო ხაზოვან ნაგებობისა და შპს „პისიმაქსის“ მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა, იხ. ნახ. 1,




- 2) დას

ახლებულ პუნქტებში-საპროექტო ხაზოვან ნაგებობის პარალელურად გატარების შემთხვევაში, ხაზოვან ნაგებობისა და შპს „პისიმაქსის“ მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრისა, იხ. ნახ. 2,



- 3) საპროექტო ხაზოვან ნაგებობის და შპს „პისიმაქსის“ მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის კვეთა უნდა მოხდეს კაბელის ქვემოდან არანაკლებ 0.3 მეტრის დაშორებით პოლიეთილენის ან ლითონის მილში გატარებით.



- 4) საპროექტო ხაზოვან ნაგებობის და შპს „პისიმაქსის“ მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის კვეთის შემთხვევაში სამუშაოების შესრულება დასაშვებია მხოლოდ ხელის მეთოდით
- 5) შპს „პისიმაქსის“ მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის 3 მეტრზე ნაკლები დაშორებისას მექანიზმის და ტექნიკური საშუალებით ბუშაობა დაუშვებელია.

გთხოვთ სამუშაოების წარების დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე გვაცნობეთ ტელ: 598 92 22 99

22.02.2022


N714

სს „RMG Copper“-ის აღმასრულებელ დირექტორს

ბ-ნ თ. ლიპარტიას

მ. ალექსიძის ქ. N 1/9

ბატონო თორნიკე,



სს „საქართველოს რკინიგზაში“ განხილული იქნა თქვენი 08/02/2022 წლის N/83.653 წერილი, რომელიც ეხება დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ფუნქციონირებისათვის პულპის მილსადენის გაყვანას.

წერილის შინაარსიდან გამომდინარე ვერ ირკვევა თუ კონკრეტულად რა იგულისხმება მილსადენის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით რკინიგზიდან პოზიციის დაფიქსირებაში. რადგანაც, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული მილსადენის ტრასა გადის თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და კვეთავს თქვენსავე სარკინიგზო ლიანდაგებს, გაცნობებთ, რომ საკითხი რკინიგზიდან ნებართვის გაცემას არ საჭიროებს და ამ სამუშაოებს რკინიგზა არ ახორციელებს. რაც შეეხება ოფიციალურად გადაკვეთაზე ტექნიკური პირობების გაცემას - ფასიანია და შეადგენს 186 ლარს დღგ-ს გარეშე.

ინფორმაციისათვის შეგვიძლია მოგაწოდოთ ის ელემენტალური მოთხოვნები, რომელიც დაცული უნდა იქნას რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ პულპის მილსადენის გაყვანისას:

- რკინიგზის გადაკვეთა პულპის მილსადენით უნდა განხორციელდეს, როგორც წესი, მინიმუმ 45° კუთხით;
- გადაკვეთის ადგილას მილსადენი უნდა ჩაიდოს გარსაცმში ან გვირაბში, რომელთა შიდა დიამეტრი უნდა იყოს 200 მმ-ით დიდი, ვიდრე მილსადენის გარე დიამეტრი;
- გარსაცმის ბოლოები უნდა გავიდეს რკინიგზის მიწის ვაკისის ნაპირიდან არანაკლებ 3-3 მ-ით (თქვენს შემთხვევაში საჭირო იქნება 10 მ-მდე სიგრძის გარსაცმი);


- ვერტიკალური მანძილი სარკინიგზო ლიანდაგის ქვემოდან გარსაცმების ზედა ნაწილამდე უნდა იქნას აღებული სამუშაო მეთოდიდან გამომდინარე, ღია - მინიმუმ 1.0 მ, დახურული (დაწნეხა, ჰორიზონტალური ბურღვა) - 1.5 მ.

თქვენს შემთხვევაში არ არის მითითებული არც მილსადენის დიამეტრი და არც ის, თუ როგორ იკვეთება რკინიგზა მიწისქვეშ თუ ზემოდან, აგრეთვე რა მეთოდით განხორციელდება გადაკვეთა ("ღია" თუ "დახურული"). ყოველივე ამ საკითხების შესახებ დასაზუსტებლად ვერ მოხერხდება წერილში თქვენს მიერ მითითებულ ტელეფონზე დაკავშირება. შეკითხვების შემთხვევაში და კონსულტაციისათვის შესაძლებელია დაუკავშირდეთ მომსახურების და სერვისების განვითარების ცენტრის უფროსს კახა კასარელს (ტელ. 591190779, 2199148), ან მოგვაწოდოთ თქვენი ზუსტი საკონტაქტო მონაცემები.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორი

გ. მარუხუშვილი





საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/11448
25/07/2022

11448-2-03-2-202207251439



სს. „RMG Copper“-ის დირექტორს
ბატონ თორნიკე ლიპარტიას
ელექტრონული ფოსტა: Info@richmetalsgroup.com

ასლი: შ.პ.ს. „ერედვი 2008“-ის დირექტორს
ბატონ რაჭდენ გელაძეს
ელექტრონული ფოსტა: eredvi2008@gmail.com



ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL“-ის რეგიონალურ
მენეჯერს ბატონ არნო დე რუფს
ელექტრონული ფოსტა: info_projects@egis-georgia.com

ასლი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ითვალისწინებს სს. „RMG Copper“-ის №91.031 10.06.2022წ მიმართვას, არ არის წინააღმდეგი ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მილსადენის მოწყობისათვის, საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ67+330 - კმ68+450მ მონაკვეთზე, ღერძიდან მარჯვენა მხარეს, მოწყობის მილსადენი, ს/გზის კმ68+015მ - კმ68+025მ მონაკვეთის ფარგლებში 4 მილსადენის მოწყობისათვის განხორციელდეს სავალი ნაწილის განივი გადაკვეთა დახურული წესით, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. საავტომობილო გზის კმ67+330 - კმ68+450მ მონაკვეთზე, ღერძიდან მარცხენა და მარჯვენა მხარეს, მონაცვლეობით, მილსადენის გასატარებლად, გაიჭრას არანაკლებ 2,0მ სიღრმის ტრანშეა ღია წესით (წარმოდგენილი სქემატური ნახაზის მიხედვით) ს/გზის ელემენტების (გვერდულის / საორიენტაციო ბოჭკინტების / გარეგანათების დგარების / თვალამრიდის / ტროტუარის / კიუვეტის / ყრილის ძირის) ფარგლებს გარეთ, წარმოდგენილი დანართის სქემის შესაბამისად, მილსადენების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს ს/გზის მიწის ვაკისის ელემენტებისა და ადგილზე არსებული სხვა კომუნიკაციების დაუზიანებლად.

2. ტრანშეაში მილსადენის მოწყობის შემდეგ ქვედა ფენა უნდა შეივსოს ქვიშაქვებით ($h=15\text{სმ}$), ზედა – თხრილიდან ამოღებული გრუნტის უკუჩაყრით, თხრილის შემავსებელი მასალა უნდა დაიტკეპნოს და მილსადენის ტრასირების ზოლში ლანდშაფტის ელემენტები აღდგენილი უნდა იქნეს პირვანდელის ანალოგიურ მდგომარეობამდე.

3. ს/გზის კმ68+0158 - კმ68+0258 მონაკვეთის ფარგლებში, მილსადენ(ებ)ით მიწის ვაკისის განივად გადაკვეთის სამუშაოები განხორციელდეს დახურული წესით (ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდით). ს/გზის მიწის ვაკისის განივად გადაკვეთის ადგილზე კომუნიკაციის გარსაცმი მილის (ფოლადი) ზედა მსახველის ჩაღრმავებამ ს/გზის სავალი ნაწილის ზედაპირიდან უნდა შეადგინოს არანაკლებ 2,0მ. მილსადენით ს/გზის მიწის ვაკისის განივად გადაკვეთის სამუშაოები უნდა შესრულდეს საგზაო და ურბანული ინფრასტრუქტურის ელემენტების და ადგილზე არსებული სხვა კომუნიკაციების დაუზიანებლად.

4. სამუშაოების მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობა. სამუშაოების წარმოების ადგილები (მისასვლელები ორივე მხრიდან) შემოიფარგლოს დამცავი საშუალებებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფთან შეთანხმებით დაიდგას შესაბამისი საგზაო ნიშნები, ღამის საათებში მოეწყოს განათება. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და ტროტუარზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების და სხვ. დაყრა. ასევე ავტოსატრანსპორტის გაჩერება და დგომა. მუშაობის მთელ პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთსა და სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ორგანიზაციას.

5. ს/გზის გასხვიების ზოლში სასმელი წყლის მილსადენის გასატარებლად შერჩეული ზოლი წინასწარ, სამუშაოების დაწყებამდე უნდა დაზუსტდეს საავტომობილო გზის მოვლა-შენახვის სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი ორგანიზაციის შ.პ.ს. „ერედვი 2008“-ის და და სს „EGIS INTERNATIONAL“-ის წარმომადგენლებთან ერთად.

6. სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო გზის და/ან მიმდებარე ლანდშაფტური ელემენტების დაზიანების შემთხვევაში, სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მათი მოყვანა პირვანდელ მდგომარეობაში, სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციის ძალებითა და დამკვეთის სახსრებით, შ.პ.ს. „ერედვი 2008“-ის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე სამუშაოების დასრულების შემდეგ კომუნიკაციის მესაკუთრე ვალდებულია 1 წლის განმავლობაში პროექტით წარმოდგენილ მონაკვეთებზე გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის წარმოქმნის შემთხვევაში) აღმოფხვრა უპირობოდ განხორციელოს საკუთარი ძალებით და სახსრებით. აღნიშნული ვადის გასვლა არ ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

7. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყების და დამთავრების გრაფიკები (დრო და ხანგრძლივობა) შეთანხმებული უნდა იქნეს შ.პ.ს. „ერედვი 2008“-თან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფთან. ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული ვადების შესახებ, შეთანხმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში ეცნობოს სს „EGIS INTERNATIONAL“-ს და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

8. საავტომობილო გზის იმ მონაკვეთის განთვისების ზოლში, რომელიც მილსადენის ტრასასთან შეხებაშია, საგზაო სამუშაოების შესრულებისას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, კომუნიკაციის მეპატრონე ვალდებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პირველივე მოთხოვნისთანავე, თავისი სახსრებით (დეპარტამენტის მხრიდან ყოველგვარი

ანაზღაურების გარეშე) მოახდინოს კომუნიკაციის დემონტაჟი და გადატანა სხვა ადგილზე. საგზაო სამუშაოების წარმოებისას (შეთანხმებული ტექნიკური პირობების დარღვევით გატარებული) ე.გ. ხაზის დაზიანების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხს არ აგებს. დაზიანება უნდა აღმოიფხვრას კომუნიკაციის მფლობელის ძალებითა და სახსრებით.

9. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე მონიტორინგი ევალუა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურს, ხოლო ტექნიკური პირობების შესრულებაზე საერთო კონტროლი - შ.პ.ს. „ერედვი 2008“-ს და სს „EGIS INTERNATIONAL“-ს.

10. წინამდებარე სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში სამუშაოების დაუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დეპარტამენტს.

11. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, სს „RMG Copper“-მა და შ.პ.ს. „ერედვი 2008“-მა ცალ-ცალკე წარმოადგინონ წერილები, რომლებითაც დადასტურდება სამუშაოების განხორციელება, წინამდებარე წერილით შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

12. ზემოთ მოცემული ტექნიკური პირობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მათი დამატებით განხილვა და შეთანხმება დეპარტამენტთან.

13. დეპარტამენტი გაფრთხილებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ამ წერილის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არ იქნება წარმოდგენილი დადგენილ ვადაში, ან სამუშაოების ვადის გაგრძელებაზე არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია, ან სამუშაოები შესრულდება წერილით დადგენილი პირობების დარღვევით, სამუშაოები ჩაითვლება ტექნიკური პირობების დარღვევით წარმოებულად და ტექნიკური პირობები ძალადაკარგულად, რაც იწვევს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებას (ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების და მოქალაქეების მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად ამშენებელთა ხარჯზე).

14. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. კომუნიკაციის/მოწყობილი ინფრასტრუქტურის რეგისტრაციისას, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში (მათ შორის საჯარო რეესტრის ამონაწერში) უნდა მოხდეს ტექნიკური პირობებით დადგენილი მოთხოვნების ასახვა.

16. კომუნიკაციის/მოწყობილი ინფრასტრუქტურის მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, ამ ტექნიკური პირობის მიმღები (მოუხედავად იმისა, ვინ ახორციელებს გადაცემას/გადაცემის პროცედურას) ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ტექნიკური პირობით დადგენილი ვალდებულებების გადაცემა მესამე პირისათვის (აღნიშნული უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში);

ბ) კომუნიკაციის/მოწყობილი ინფრასტრუქტურის მესამე პირისათვის გადაცემის წინასწარ შეთანხმება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან;

კომუნიკაციის/მოწყობილი ინფრასტრუქტურის მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, ამ წერილით დადგენილი ტექნიკური პირობების, მათ შორის ამ პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ტექნიკური პირობების მიმღებს ეკისრება ვალდებულება თავად უზრუნველყოს დეპარტამენტის მოთხოვნების შესრულება (მათ შორის კომუნიკაციის უსასყიდლოდ გადატანის, დემონტაჟის და ამ ტექნიკური პირობით განსაზღვრულ სხვა ნაწილში).

ამ ტექნიკური პირობების მიღებით, ტექნიკური პირობების მიმღები თანხმობას აცხადებს ტექნიკური პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე (რაც გამოიხატება ინფრასტრუქტურის

მოწყობაში (პირადად ან მესამე პირის მეშვეობით)) და რომელიმე პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს ტექნიკური პირობების მიმღების პასუხისმგებლობას.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი,

პატივისცემით,

დავით გეჭაძე

დეპარტამენტის თანამდგომარის მონადგილე



მ. ნაყოფი



O-SOR-C-LT-2022-2-10/114395221

RMG-ის აღმასრულებელი დირექტორს

ბატონ თორნიკე ლომარტიას

თ.



SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kikeli str. Tbilisi, Georgia, 0102
Tel: (+995 52) 243 92 75
E-mail: sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

№ O-SOR-C-LT-2022-2-10/11

10.02.2022

ბატონო თორნიკე,

სს' საქორგგაზმა' განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 8 თებერვლის N83.661 წერილი, რომელიც ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, თქვენი კომპანიისთვის 7 კილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობას და ითხოვთ ტექნიკურ პირობას ჩვენი გაზსადენის გადაკვეთის შემთხვევაში. გაგნობებთ რომ ჩვენი კომპანია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს აღნიშნული მშენებლობა თუ დაცული იქნება ქვეყანაში არსებული საშენებლო ნორმები.

ასევე, ჩვენს საკუთრებაში არსებული გაზსადენის გადაკვეთის ან/და მასთან მიახლოების შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოთ ქვეყანაში არსებული საშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი მოთხოვნებით, მათ შორის:

- მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელით;
- მანძილი ვერტიკალურად (სიღრმე) ნებისმიერი წნევის მიწისქვეშა გაზსადენის მიერ სხვადასხვა მიწისქვეშა ნაგებობის გადაკვეთისას, გაზსადენის შემთხვევაში უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ-ისა, ხოლო მანძილი (გეგმაში) საინჟინრო მიწისქვეშა ქსელებს შორის უნდა იყოს არანაკლები 1 მეტრი.
- სამუშაოების დაწყებამდე ორი დღით ადრე უნდა დაუკავშირდეთ ჩვენს წარმომადგენელს ბოლნისი-დმანისის სერვის ცენტრის მთავარ ინჟინერს ბატონ ვალერი გრიგალაშვილს. ტელ-577185956

აღნიშნული პირობების დაუცველობის შემთხვევაში ჩვენი კომპანიის საკუთრების დაზიანებისას მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეკისრება საპროექტო და მშენებელ კომპანიას.

პატივისცემით,

ზაზა მღებრიშვილი

საავარიო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი

[Handwritten signature]

ს.ს. RMG Copper
შპს ბოლნისი
№ 84.246
"24" 02 2022
მ.წ.მ.

№ 4024/24-8* 21 * 03 2022

სს „RMG Copper“-ის
აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ თორნიკე ლიპარტიას
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1, 3-ე შესახვევი
საქართველო, თბილისი 0193
საკონტაქტო ტელ: +995322474545; ფაქსი: +995322913861

ბატონო თორნიკე,


თქვენგან შემოსული წერილის (N 85.504 - 14/03/2022) პასუხად, გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული SHAPE-ფაილის მიხედვით, მილსადენის მშენებლობის საპროექტო ტერიტორიაზე, გადის სს „სილქნეტის“ კუთვნილი მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც დატანილია თანდართულ CD-დისკზე SHAPE-ფაილის ფორმატით.

სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს თანდართული დანართი N1-ის სრული დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია გამოძახებული იქნას სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელი. ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40.

დანართი: 1. შეთანხმების დანართი #1.
2. CD-დისკი 1-ცალი.

პატივისცემით:





ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

ს.ს. RMG Copper	
თბილისი	
№	<u>86.403</u>
" <u>23</u> "	<u>03</u> 2022
ფაქს.	<u>2 + 93 27 40</u>

17.03.2022წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- 200 მმ-მდე დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრისა (იხ. ნახ. 4.1), ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე (იხ. ნახ. 4.2).
- 200 მმ-ზე მეტი დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა საკაბელო ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა (იხ. ნახ. 4.1), ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე (იხ. ნახ. 4.2).
- გადაკვეთის ადგილებში წყალგაყვანილობის საპროექტო მილი აუცილებლად უნდა განთავსდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ.
- სს „სილქნეტი“-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ან სხვა ელემენტების მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში წყალგაყვანილობის მილის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო წყალგაყვანილობის მილის ზემოთ, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტა, არანაკლებ 0,15 მ-ის დაშორებით (იხ. ნახ. 4.2).
- სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში გათხრითი სამუშაოები შესრულდეს ზელით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს სს „სილქნეტი“-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, თუ სს „სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები გასწვრივად რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:
 - ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
 - ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silkn.net.ge) და შეთანხმების ზეგვედზე მითითებული ტელეფონის ნომრების მეშვეობით.



პირილი კომუნიკაციების
გადაკვეთის შემთხვევაში
გამაფრთხილებელი
ლენტა

სს „სილქნეტი“
შეთანხმება
საშუალო დაბალი და მაღალი სიჩქარის
სს „სილქნეტი“ წარმომადგენელი
თბილისი, თბილისის რაიონი, 29.29.29.29.29.29.29.29
თარიღი 17/03/2022



Handwritten signature

22-42

16 მარტი 2022 წ.

სს „RMG Copper“-ის აღმასრულებელ დირექტორს
ზ-ნ თორნიკე ლიპარტიას

ბატონო თორნიკე,

თქვენი მ.წ. 14 მარტის № 85.507 წერილის პასუხად.

გიდასტურებთ, რომ ზოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე თქვენს მიერ დაგეგმილ მილსადენის მშენებლობის არეალში, გარკვეულ მონაკვეთებზე თანხვედრაშია და იკვეთება შპს "ფოპტნეტი"-ს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. გითანხმებთ ხსენებულ სამუშაოებს იმ პირობით, რომ დაცული იქნება შპს „ფოპტნეტი“-ს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის უსაფრთხო ფუნქციონირება, შემდეგი ტექნიკური პირობების გათვალისწინებით:

1. მიწის სამუშაოების დაწყების წინ ჩვენი წარმომადგენელი სამუშაოების მწარმოებელთან ერთად განსაზღვრავენ ოპტიკური კაბელის და მშენებარე მილსადენის თანხვედრისა და გადაკვეთის ადგილებს, დადგინდება კაბელის დაცვის ზონა (2-2 მეტრი კაბელის გასწვრივ), მისი ღერძიდან ორივე მხარეს, კაბელის ფაქტიური მდებარეობა, განისაზღვრება კაბელის სიღრმე;
2. კაბელის დაცვის ზონაში და გადაკვეთის ადგილებზე მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელით
3. კაბელის ყოველი გადაკვეთა უნდა განხორციელდეს კაბელის სიღრმიდან 40 სმ-ის ზემოთ ან ქვემოთ;
4. ადგილზე მოვლინებული ჩვენი წარმომადგენელი გაუწევს მონიტორინგს თქვენს მიერ წარმოებულ სამუშაოებს კაბელის დაცვის ზონაში.

ადგილზე მოვლინებული ჩვენი წარმომადგენლის საკონტაქტო ტელეფონია:

577 -59-98-09 ქოჩორაძე ემზარი

დანართი: სიტუაციური ნაბაზი

პატივისცემით,

უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

Handwritten signature

ლევან კიკნაძე

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მულტიმედიაკომუნიკაციების ქსელი - ფოპტნეტი

☎ პოლიტექნიკის ქ. #42, 0186 თბილისი, საქართველო

☎ ს/კ 204 892 330

FIBER-OPTIC TELECOMMUNICATION NETWORK - FOPTNET LTD

42, Politkovskaya st. 0186 Tbilisi, Georgia ☎

ID 204 892 330 ☎

☎ (+032) 2779589

✉ office@foptnet.ge

🌐 foptnet.ge

JSC RMG Copper
№ 85.741
"16" 03 2022
შვავი 2



პროექტის ნომერი		მისამართი		შპს „ფოპტენტ“ პოლიტექნიკის № 42 ბld: (032) 2779512	
				პეშ. ნახაზი	ფურცლები 20
შპს „ფოპტენტ“-ის არსებული ქსელი სს „RMG copper“-ის საპროექტო მიდხედები		ბოლნისის რაიონი, დბა კაზრეთი		თარიღი	მასშტაბი
				15.03.22	1:18 641
სამ. უფროსი		დ. ბელიშვილი		საპროექტო ქსელის სხმა	
შედგენა		გ. გ.			



KA021720834440022

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა

ტელ: 1420
info@nasp.gov.ge

49a I. Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia

Tel: 1420
info@nasp.gov.ge

N5/41574

22 / ივლისი / 2022 წ.

"RMG Cooper" -ს

მის: ქ. თბილისი, მ ალექსიძის N1, მე-3 შეს.
ელ.მის: info@richmetalsgroup.com

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 29.03.2022წ. N86.628 და 14.04.2022 წლის N87.772 წერილების პასუხად და ჩვენს 08.07.2022 წლის N5/38462 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის შემთხვევაში, სსიპ-მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 29.04.2022 წლის N22/2654 წერილით წარმოდგენილი პირობების სრული დაყვით, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განახორციელოთ მხოლოდ მილსადენის განთავსება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით და უსაფრთხოების ნორმების სრული დაყვით, ასევე იმ პირობით, რომ შესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი თვის ვადაში კომპანიის ხარჯებით გადატანილი იქნება ხაზოვანი ნაგებობა.

საპროექტო ხაზის ნაწილი კვეთს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, შესაბამისად უნდა მიმართოთ სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

ამასთან გაცნობებთ, რომ შემოადინებული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, მისი არ უნდა მიადგეს სახელმწიფო ქონებას, არ უნდა განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული ხეების ჭრა ასეთის არსებობის შემთხვევაში და ხაზოვანი ნაგებობის განთავსების სამუშაოების დამთავრებისთანავე მინის ნაკვეთი მოყვანილი უნდა იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

წერილთან ერთად გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

საინფორმაციო
სამართლებრივი
ელემენტების
დოკუმენტი



გიორგი დუგლაძე

ს.ს. RMG Copper
თბილისი
№ 93860
"25" 07 2022
ფაქტ. 2



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო



KA020172212653022

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 32 2 95 00 30

22/2654

29 / აპრილი / 2022 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს კერძო სექტორთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსს
ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

თქვენი 2022 წლის 20 აპრილის #5/22330 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper“-ის მიერ წარმოდგენილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაბრეთში მილსადენის მოწყობის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით ნაწილობრივ (1659კვ.მ, 398კვ.მ, 87კვ.მ, 68კვ.მ, 4251კვ.მ, 104კვ.მ, 76კვ.მ, 100კვ.მ, 290კვ.მ, 1178კვ.მ, 637კვ.მ, 405კვ.მ, 195 კვ.მ) მდებარეობს, იმედის ოქრო-მცირესულფიდური საბადოა და მასზე წიაღის მოპოვების მიზნით შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე გაცემული #10002708 ლიცენზიის კონტურში.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე“.

ხოლო 132კვ.მ, 607კვ.მ, 844კვ.მ, 1689კვ.მ, 95კვ.მ, 511კვ.მ, 1052კვ.მ, 9554კვ.მ მიწის ნაკვეთები, წიაღზე დამატარებას არ ექვემდებარება.

პატივისცემით,

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერა/
რუბრადანულია
ელმოწერულია



ნანა ზამთარაძე